



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



დიასპორის ეკონომიკური ფორუმი

შაბათი, 27 თებერვალი, 2021

ქართული დიასპორა საქართველოსათვის დიდ რესურსს წარმოადგენს, მათი ცოდნის, კვალიფიკაციის, კულტურული და ფინანსური კაპიტალისა, თუ ეკონომიკური კავშირების სახით. დიასპორის ეს პოტენციალი მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარების პროცესის დასაჩქარებლად და ეკონომიკური შესაძლებლობების გასაფართოებლად.

ამჟამად საქართველოში ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს. მხარდაჭერილია ბიზნესის დაწყებისა და ინვესტიციების მოზიდვის სხვადასხვა ინიციატივა, რომელიც ასევე ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის.

დიასპორის ეკონომიკური ფორუმის მიზანია, ქართულ დიასპორას გააცნოს საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის დაწყება-განვითარების, საინვესტიციო და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის არსებული შესაძლებლობები; მიაწოდოს ინფორმაცია იმ სახელმწიფო და არასახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე, რომლებიც შესაძლოა დიასპორელებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს.

ფორუმის საბოლოო მიზანია დიასპორასა და საქართველოს ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის წახალისება, ბიზნეს კავშირების განვითარება, ბიზნესის ხელშეწყობ პროგრამებში დიასპორის ჩართულობის წახალისება.

ფორუმი ორგანიზებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული შემდეგი პროექტების ფარგლებში: ა) “საქართველოში საზღვრის და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა (SBMMG)“, რომლის ერთ-ერთი მიზანია ქვეყნის ეკონომიკურ წინასვლაში მიგრანტების/მიგრაციის პოტენციალის გამოყენების მხარდაჭერა.

ბ) ევროკავშირის ინიციატიური პროექტი „კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში“, რომელიც ევროკავშირისა და გაეროს ოთხი სააგენტოს - გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), ერთობლივი ინიციატივაა. პროექტის მიზანია საქართველოში მეწარმეობის გაძლიერება, ბიზნეს კლასტერების განვითარების ხელშეწყობა, კომპანიების დახმარება, მათ შორის დიასპორასთან კავშირების გაძლიერებით.



შაბათი, 27 თებერვალი, 2021

15:00 – 15:40

ფორუმის ოფიციალური გახსნა - ოფიციალურ ნაწილს გაუძღვება სანია ჩელებიჩ ლუკოვაძე, IOM საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

მისასალმებელი სიტყვები:

სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პრეზიდენტი

დავით ზალკალიანი, ვიცე-პრემიერი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

ეკატერინე მიქაბაძე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე

ბექა ოდიშარია, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

ტექნიკური შესვენება

ოფიციალური ნაწილის გაგრძელება

რენატე ჰელდი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) რეგიონალური დირექტორი

საბინე მახლი, გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში

კატალინ გერმანი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის სექციის ხელმძღვანელის მოადგილე



1-ლი სესია - ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები (არასასოფლო-სამეურნეო მიმართულება)

15:40– 16:15

მომხსენებლები:

თორნიკე ზირაქიშვილი, დირექტორის მოადგილე, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

თინათინ ჩაჩანიძე, თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სალომე ხაჩიაური, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინოვაციების და კომერციალიზაციის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

16:15 - 16:30

კითხვა-პასუხი

16: 30- 17:10

მომხსენებლები:

დავით ოქროპირიძე, MSME ექსპერტი საქართველოში, GFA Consulting Group; EU4Business. შერჩეული პროექტებისა და შედეგების მიმოხილვა

მარიკა შიოშვილი, პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა

გიორგი როგავა, კომერციული მენეჯერი, ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

თამარ სახიშვილი, ინვესტიციების მოზიდვის დეპარტამენტის უფროსი, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

17:10 – 17:30

კითხვა-პასუხი

17:30 – 18:00

ტექნიკური შესვენება

პირველ სესიაზე წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მიერ, ტურიზმის, წარმოების, ინოვაციებისა თუ სხვა სფეროებში, ბიზნესის დაწყება/განვითარების მხარდამჭერი პროგრამები/პროექტები.

„აწარმოე საქართველოში“ მოკლედ მიმოიხილავს საქართველოში ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს, მეწარმეობის ხელშემწყობ მექანიზმებს, მათ შორის მიკრო და მცირე ბიზნესების ხელშემწყობ პროგრამას, საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმებს, სხვადასხვა სექტორში (ინდუსტრიული მიმართულება, ტურისტული სერვისები, ა.შ.) სესხის პროცენტის თანადაფინანსების მექანიზმს, ასევე სხვა პროგრამებსა და სერვისებს.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს პროექტს „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“. სააგენტოს წარმომადგენელი ფორუმის მონაწილეებს წარუდგენს ქვეყნის მასშტაბით არსებულ, რამდენიმე საინტერესო შეთავაზებას.

GITA წარმოადგენს არსებულ სამეწარმეო ეკოსისტემასა და ინიციატივებს, მათ შორის, ინოვაციური სტარტაპების მხარდამჭერ საგარანტიო პროგრამებს და დიასპორის ჩართულობაზე ორიენტირებულ ინიციატივებს.

ევროკავშირის წარმომადგენელი ისაუბრებს EU4Business პროექტებზე/მიმართულებებზე - ფინანსებზე ხელმისაწვდომობა (A2F), ბიზნესის განვითარების სერვისები (BDS) და ხელსაყრელი ბიზნეს-გარემო (BEE). აუდიტორიას ექნება შესაძლებლობა მიიღოს დეტალური ინფორმაცია თითოეულ პროექტზე, გაეცნოს მონაწილეობის პირობებსა და სამომავლო შესაძლებლობებს.

„USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა“ ორიენტირებულია შემდეგ სექტორებზე: ტურიზმი (გასტრონომიული, კულტურული/ისტორიული, მთის/სათავგადასავლო), მსუბუქი წარმოება (ავეჯი, შესაფუთი მასალები, სამშენებლო მასალები, PPE და მყარი ნარჩენების მართვა), შემოქმედებითი ინდუსტრიები (წარმოება, პოსტპროდუქცია, არტიზანები), ინტელექტუალური სერვისები (BPO, ICT), ასევე გადამკვეთი სექტორები: ელექტრონული კომერცია და ლოგისტიკა.

სესიის ბოლო ნაწილი დაეთმობა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს (თიზ ფოთი და ქუთაისი). თიზ-ების წარმომადგენლები მიმოიხილავენ ზონაში მოღვაწე კომპანიებისთვის (ფარმაცია, ინდუსტრიული წარმოება, ვაჭრობა) არსებულ საგადასახადო და სხვა შეღავათებს. მონაწილეები ასევე გაეცნობიან თიზ-ში ოპერირების პირობებს და სარგებელს, ლიცენზიებისა და გადასახადების სახეებს.



მე-2 სესია - ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები სოფლისა და სოფლის-მეურნეობის სფეროში

18:00 - 19:15

მომხსენებლები:

ალექსანდრე მელქაძე, საგრანტო და საინვესტიციო შეფასების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სოფლის განვითარების სააგენტო (RDA), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ნოდარ კერესელიძე, პროექტის მენეჯერი, განვითარების პროგრამა (UNDP) – ENPARD III

ალექსანდრე საკანდელიძე, გენერალური მდივანი, საქართველოს თესლის მწარმოებლების და სანერგე მეურნეობების ასოციაცია, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

ჯუბა მარუაშვილი, პოლიტიკის მრჩეველი, **გიორგი ანდლულაძე**, ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების სპეციალისტი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) - პროექტი „FAO-ს მხარდაჭერა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს“, ENPARD III-ის ფარგლებში

ქეთი ჭუმბურიძე, USAID ზრდა საქართველოში პროექტის ხელმძღვანელი

სიგრუნ ანდრესდოტირი, ჯგუფის ხელმძღვანელი, **GRETA** -ს პროექტი: „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“

19:15 – 19:30

კითხვა-პასუხი

19:30 – 19:50

ტექნიკური შესვენება

მეორე სესია დაეთმობა სოფლის განვითარების სფეროში და სასოფლო-სამეურნეო სექტორში სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი პროგრამების მიმოხილვას. სოფლის განვითარების სააგენტო წარმოადგენს არსებულ პროექტებს, მათ შორის, აგროწარმოების ხელშეწყობის, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების, მერძეეობის დარგის მოდერნიზაციის, სოფლის განვითარების,

შეღავათიანი აგროკრედიტის, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის და დანერგე მომავალის (მრავალწლიანი კულტურის) პროექტებს.

გაეროს განვითარების პროგრამის პრეზენტაცია შეეხება საქართველოში, სოფლად ბიზნესის დაფინანსების შესაძლებლობებს და სოფლის განვითარების ხელშემწყობ სხვა სერვისებს.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელი ისაუბრებს სანერგე მეურნეობისა და თესლის მწარმოებელთა სექტორზე, ყურადღება გამახვილდება სერტიფიცირების პროცესზე და არსებულ ევროპულ სტანდარტებზე. პანელის სპიკერი მიმოიხილავს დიასპორასთან თანამშრომლობის (პროფესიული ჩართულობა) შესაძლებლობებს.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლები ასევე მიმოიხილავენ ENPARD III პროექტის ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ პროგრამას, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მოიცავს ეკონომიკური აქტორებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის შესაძლებლობას, შესაბამისი გრანტების უზრუნველყოფის გზით.

სესიის მსვლელობისას დონორი ორგანიზაციები მონაწილეებს გააცნობენ საკუთარ პროგრამებს, მათ შორის:

- USAID Zrda პროექტის ხელმძღვანელი მიმოიხილავს სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის (აგრო, სათავგადასავლო და კულტურული ტურიზმი) სექტორში არსებულ საგრანტო შესაძლებლობებს.

- GRETA-ს წარმომადგენელი ისაუბრებს მდგრადი სამთო ტურიზმისა და ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორებში შეთავაზებულ საგრანტო სქემებზე.

სესიის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ იმსჯელონ აგრო სექტორში ბიზნესის დაწყება/განვითარების შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე.



მე-3 სესია - საინვესტიციო შესაძლებლობები საქართველოში

19:50 – 20:00

მარია გაბუნია, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის მიმოხილვა (საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები, სავაჭრო რეჟიმები, ა.შ.)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

20:00 – 20:50

მომხსენებლები:

გვანცა ბიწაძე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ წიადის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დაჩი ქინქლაძე, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, შემოსავლების სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ნინო ჯინჯოლავა, მმართველი პარტნიორი, „არეა ჯგუფი“

კონსტანტინე ჭანტურია, პროექტის მენეჯერი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), შესაფუთი მასალების კლასტერის განვითარება

არჩილ ბუკია, „იმერეთის აგროჰოლდი“, დირექტორი
გიორგი დადიანი, „GeoHolding“ & KSH Consortium, აღმასრულებელი დირექტორი

ბიზნეს კლასტერის მართვის ორგანიზაციები (CMOs), ინდივიდუალური ბიზნესები

20:50 – 21:05

კითხვა - პასუხი

მესამე სესიაზე სააგენტოები წარმოადგენენ ინფორმაციას საქართველოში არსებულ საინვესტიციო რესურსებზე (მიწა, მინერალური წყლები, ბუნებრივი რესურსები და სხვა), ამასთან განხილული იქნება კონკრეტული საინვესტიციო შეთავაზებები.

წიაღის ეროვნული სააგენტო გააცნობს ფორუმის მონაწილეებს საქართველოში, საინვესტიციოდ მიმზიდველ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საბადოებს, პრეზენტაცია ასევე მოიცავს ინფორმაციას ლიცენზირებისა და ელექტრონული აუქციონით სარგებლობის ზოგად წესებსა და რეგულაციებზე.

სესიის მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ არსებულ საგადასახადო/საბაჟო პოლიტიკას, სპეციალური რეჟიმების ჩათვლით, ასევე მომსახურებების ნაწილს. რომელთაც შემოსავლების სამსახური სთავაზობთ მათ. პრეზენტაცია ასევე შეეხება თავისუფალი ვაჭრობისა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებებსა და ამ შეთანხმებების გავლენას კომპანიებსა და ბიზნესზე.

„არეა ჯგუფი“ წარმოადგენს საინვესტიციო პროექტებს ტურიზმის სექტორში, პრეზენტაციის მიზანია, აჩვენოს ინვესტორებს ქვეყნის პოტენციალი, ხელი შეუწყოს მათ უძრავი ქონების და ტურიზმის/მომსახურების სექტორში არსებული შესაძლებლობების მოძიებაში.

საუკეთესო პრაქტიკის განხილვისა და სამომავლო საინვესტიციო შესაძლებლობებზე მსჯელობის მიზნით, სესია გააერთიანებს ინდივიდუალური ბიზნესის წარმომადგენლებს, კლასტერის მართვის ორგანიზაციებსა და ინდუსტრიის ლიდერებს.

სესიაში მონაწილეობას მიიღებენ ბიზნეს კლასტერების მართვის ორგანიზაციები (CMO), რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციას: კლასტერის წევრი კომპანიებისთვის ხელმისაწვდომ სერვისებსა და ბენეფიტებზე, წევრ ბიზნესებთან თანამშრომლობის პერსპექტივებსა და არსებულ გამოწვევებზე; მსჯელობა შეეხება ასევე CMO-ს როლს პოტენციური თანამშრომლობის მხარდაჭერაში, დიასპორის ჩართულობას პროცესებში - ფინანსური და ადამიანური კაპიტალის ინვესტირება. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) წარმოადგენს შესაფუთი მასალების პირველ, ქართულ კლასტერს - საქართველოს შესაფუთი მასალების მწარმოებელთა ასოციაცია (PMAG).



პანელი 4 - ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

21:05 – 21:15

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები

ანდრეას ბერკჰოფი, სესხების უფროსი ოფიცერი, ევროკავშირის სამეზობლო ბანკები, ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)

21:15 – 21:35

მომხსენებლები

არჩილ ბაკურაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“; ფინანსური სერვისები დიასპორისთვის

აიეტი კუკავა, დამფუძნებელი, თავმჯდომარე, საინვესტიციო კომპანია „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი“

21:35 – 22:00

კითხვა - პასუხი და ფორუმის დახურვა

საერთაშორისო და ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები ფორუმის მონაწილეებს გააცნობენ ბიზნესის ხელშემწყობ პროდუქტებსა და სერვისებს.

ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენელი ისაუბრებს ქართული ბიზნესებისთვის ბანკის მიერ შეთავაზებულ პროდუქტებსა და საკრედიტო ხაზებზე, მათ შორის, შუამავლური დაფინანსების ხელმისაწვდომობასა და პირდაპირი ინვესტიციის სესხებზე. პრეზენტაცია ასევე შეეხება სესხის განაცხადთან დაკავშირებულ პროცედურებს, კრიტერიუმებს და ა.შ.

„კრისტალი“-ს წარმომადგენელი ისაუბრებს იმ ინოვაციურ პროდუქტებზე, რომელსაც კომპანია სთავაზობს მიკრო და მცირე მეწარმეებს.

საინვესტიციო კომპანია „ალიანს ჯგუფი“-ს წარმომადგენელი ყურადღებას გაამახვილებს დიასპორისთვის საინტერესო სერვისებზე, როგორც არის საკონსულტაციო მომსახურება და ფონდების მოძიება. გარდა ამისა, პანელზე წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია ვენჩურული კაპიტალის ასოციაციის შესახებ. ასოციაცია ქმნის ეფექტურ პლატფორმას ინოვაციური კომპანიებისთვის და ინვესტორებისთვის.

პანელის მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა დასვან შეკითხვები, მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე და გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია სამომავლო საქმიანობაში.

პრეზენტაციები აიტვირთება და ხელმისაწვდომი იქნება, როგორც დიასპორის ვებ-პორტალზე www.gda.ge, ასევე IOM საქართველოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://georgia.iom.int/>